№ 141 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. შაბათი, ივნისის 26 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადება. ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვაღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

სთხოვს ყველა თავის წევრებს აუცილებლათ გამოცხადდენ სხდომაზე, რომელიც დანიშნულია კვირას, 27 ივნისს, დილის 10 საათ., სასახლეში, ქვესტორის კაბინეთში. დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1. ანგარიში წარმოებულ მუშაობისა, 2. პრეზიდიუმის არჩევა. 3. ობლების დახმარება. 4. ომში გაწვეულთა ყანების დამუშავებაში ხელის შეწყობა, 5. შემოსული თხოვნები.

ოფიციალური განყოფილება

შტატი

1919—1920 წლის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.

№№ რიგზე.	თანამდებობის სახელწოდება.	თანამდებობათა რიცხვი.	თვიური ჯამაგირი თვითეულს.	წლიური ჯამაგირი თვითეულს.	წლიური ჯამაგირი ყველას.
			მ ა ნ ე თ ი.		
	5) სახელმწიფო მამულების და წარმოებათა სექცია.				
1	სექციის გამგე	1	3500	42000	42000
2	საქმის მწარმოებელი	1	2000	24000	24000
	სულ	2	—	—	66000
	ა) „ბორჯომი"-ს სახელმწიფო მამული				
	1. მამულების გამგებლობა.				
1	მოურავი	1	4500	54000	54000
2	საქმის-მმართველი	1	2700	32400	32400
3	უფროსი ბუხჰალტერი	1	3150	37800	37800
4	ბუხჰალტერი	1	2700	32400	32400
5	საქმის მწარმოებელი	1	2000	24000	24000
6	მიწის მზომელი	1	1675	20100	20100
7	ბუხჰალტერის თანაშემწე	3	1700	20400	61200
8	მოლარე	1	1800	21600	21600
9	უფროსი მოანგარიშე	2	1600	19200	38400
10	უმცროსი	1	1150	13800	13800
11	სასურსათო საწყობის გამგე	1	1575	18900	18900
12	მანქანით გადამწერი	1	1300	15600	15600
13	საქმის მწარმოებლის თანაშემწე	1	1500	18000	18000
14	კანტორის უფროსი მოხელე	1	1300	15600	15600
15	კანტორის უმცროსი მოხელე	2	1200	14400	28800
16	შიკრიკი	3	1225	14700	44100
	სულ	22	—	—	476700
	2. მახალუ ის ცენტრალი საწყობი.				
1	გამგე	1	1700	20400	20400
2	მისი თანაშემწე	1	1300	15600	15600
3	დარაჯი	3	1000	12000	36000
	სულ	5	—	—	72000
	3. ბალნეოლოგიური განყოფილება.				
1	მეთვალყურე	1	1400	16800	16800
2	წიგნთ-საცავის გამგე	1	400	4800	4800
3	დარაჯი	3	1000	12000	36000
	სულ	5	—	—	57600
	4. ა ბ ა ნ ო.				
1	აბანოს მოსამსახურე	1	1000	12000	12000
	სულ	1	—	—	12000
	5. შუშის საწყობი.				
1	გამგე	1	1500	18000	18000
2	დარაჯი	1	1000	12000	12000
3	მუშა	2	1000	12000	24000
	სულ	4	—	—	54000
	6. სახახლე: დიდი და პატარა.				
1	გამგე	1	1200	14400	14400
2	დარაჯი	3	1000	12000	36000
	სულ	4	—	—	50400
	7. სადგინიბო.				
1	მუშა	2	1000	12000	24000
	სულ	2	—	—	24000

1920 წ. ივნისის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

24 ივნისი, 1920 წ., № 196.

განთავისუფლებულ იქმნას სრულიად სამსახურიდან თანახმად მისი თხოვნისა სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის ბუხჰალტერი ალექსი ივანეს ძე ბაქრაძე ამა წლის 1 ივლისიდან.

24 ივნისი, 1920 წ., № 197.

დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის კონტროლიორი ნიკოლოზ ბესარიონის ძე ნუცუბიძე სამსახურში გამოუცხადებლობის გამო ამა წლის 15 ივნისიდან.

24 ივნისი, 1920 წ. № 198.

დანიშნულ იქმნას ქ. ფოთის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ გრიგოლ სამსონის ძე უშკერიძე ა. წ. 6 თებერვლიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი **ა. ავალიანი.**

—

შინაგან საქმეთა მინისტრისა.

23 ივნისი, 1920 წ. № 43.

ინიშნება: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელი დორეთე იოსების ძე ბოკუჩავა —ადმინისტრატიული ინსპექტორის განსაკუთრებულ მინდობილობათა მიხედვით ამა წლის 20 ივნისიდან.

23 ივნისი, 1920 წ., № 44.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელი მიხეილ ფალავა, თანახმად თხოვნისა, ავათმყოფობისა გამო, 20 ივნისიდან ამა წლისა.

ინიშნება: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე გაიოზ კონსტანტინეს ძე მელივა ამავე კანცელარიის საქმის მწარმოებლად, 20 ამა ივნისიდან.

მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

—

იუსტიციის მინისტრისა.

19 ივნისი, 1920 წ., № 197.

დაინიშნა: ქ. ტფილისის მეექვსე სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოსამართლო თანამდებობის უფროსი კანდიდატი ზაქარია გიორგის ძე ბაშინჯაგიანი ა. წ. ივნისის 18-დან.

20 ივნისი, 1920 წ., № 199.

დანიშნულ იქმნას ტფილისის რკინის გზის 1 უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ილია გრიგოლის ძე ქიქოძე ქ. ტფილისის მეხუთე უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ა. წ. ივნისის 18-დან.

21 ივნისი, 1920 წ., № 200.

დაინიშნა ტფილისის რკინის გზის 1 უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად სამოსამართლო თანამდებობათა უფროსი კანდიდატი ივლიანე თადეოზის ძე პაიჭაძე ა. წ. ივნისის 21-დან.

20 ივნისი 1920 წ., № 201.

დაინიშნა ახალქალაქის მე 11 უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ტფილისის სასამართლო პალატის მდივნის თანამდებობის აღმასრულებელი ნიკოლოზ მიხეილის ძე ავნატომოვი, ა. წ. ივნისის 21-დან.

21 ივნისი, 1920 წ., № 202.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და დათხოვნილია სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა ქ. ტფილისის მე 9 უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე მჭედლიშვილი, ა. წ. ივნისის 16-დან.

იუსტიციის მინისტრის მაგ. **გ. ჟორდანია.**

—

მომარაგების და შრომის მინისტრისა.

მივდივარ რა დასასვენებლათ მთავრობის ნებართვით მიმდინარე წლის 26 ივნისიდან, ჩემი მოვალეობის ასრულებას მომარაგების სამინისტროს უწყებაში ვავალებ მომარაგების მინისტრის ამხანაგს ი. თ. ჭავჭანიძეს, ხოლო შრომის სამინისტროს უწყებაში შრომის მინისტრის ამხანაგს ა. ნ. ბახტაძეს, რომელთაც ვანდობ ხელის მოწერას ყველა ოფიციალურ ქაღალდებზე ჩემს მაგივრათ.

მომარაგების და შრომის მინისტრი **ერაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

იუსტიციის სამინისტროში

კანონების გადასინჯვა.

იუსტიციის სამინისტროსთან შესდგა საქართველოს კანონების გადამსინჯველ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო ქვეკომისიათა სხდომა. სისხლის სამართლის კანონების გადამსინჯველ ქვეკომისიაში ლ. ა. კრასნიხის თავმჯდომარეობით, განიხილეს საკითხი სასამართლოსადმი და ქვემდებარეობის შეცვლის შესახებ. წამოაყენეს წინადადება, ყველა მოქალაქის და აგრეთვე იმ მოსამსახურეთა სასამართლოს წინაშე გათანასწორების შესახებ, რომელთა მიმართაც ადმინისტრატიული გარანტიები უნდა ვაუქმდეს. სამოქალაქო კანონების გადამსინჯავ ქვეკომისიაში ს. დ. ფაფარიძის თავმჯდომარეობით აღინიშნა მუშაობის საერთო გეგმა. პირველად ყოვლისა ქვეკომისია დაიწყებს საოჯახო და სამემკვიდრეო უფლების კანონთა გადასინჯვ ს. დაჩქარებით განიხილავენ ფინანსთა სამინისტროს კანონ-პროექტს გადასახადთა დებულების შეცვლისა და საქართველოს მცხოვრებთა რეგისტრაციის შესახებ.

იუსტიციის მინისტრის გამგზავრება.

იუსტიციის მინისტრი რ. მ. არსენიძე სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის პროკურორ ა. ს. გელაზაროვთან ერთად სამსახურის საქმეების გამო გორსა და ქუთაისში გაემგზავრა.

ჩაურევლობა სასამართლოს საქმეებში

იუსტიციის სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნით მიმართა, რათა მიიღოს მან ზომები ერობების სასამართლოს საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ. იუსტიციის სამინისტრო მიუთითებს, რომ სამინისტროში შემოსულ განცხადებებიდან აშკარავდება, რომ ერობის დაწესებულებების ზოგიერთი თანამდებობის პირი ცდილობს ეხლაც კიდეც მიიკუთვნოს სასამართლოს ფუნქციები და ერევა სადავო სამოქალაქო დამოკიდებულებების განხილვასა და გადაწყვეტაში. ვინაიდან ასეთი მითვისება სასამართლოს უფლებისა, რომელიც მხოლოდ სასამართლოს ორგანოებს ეკუთვნის, კანონს ეწინააღმდეგება, სასურველი იქნებოდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერობის დაწესებულებებისათვის და ცალკე თანამდებობის პირთათვის შენიშვნა დაეგზავნა იმის შესახებ, რომ სასამართლოს საქმეებში ჩარევა, მათ უფლებას აღემატება, და ამას რესპუბლიკის კანონები სჯის.

შუამდგომლობა განაჩენთა შემსუბუქების შესახებ.

იუსტიციის სამინისტრომ სასამართლო პალატის, საოლქო სასამართლოების და მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეებს და პროკურორებს ცირკულიარი დაუგზავნა, რომელშიც სასამართლო განაჩენის შემსუბუქების შესახებ აღძრულ შუამდგომლობის წესს განმარტავს. ცირკულიარში აღნიშნულია, რომ სამინისტროში შემოსულ

შაბათს, ივნისის 26 ს

სახელმწიფო თეატრი
საღამო კომპოზიტორ სულხანიშვილის მუსიკისა

შაბათს, ივნისის 26 ს

საღამოს გასხვნის შესავერისი სიტყვით ცნობილი მსახიობი ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი.

I

1. ქართული ეროვნული ჰიმნი „ღმერთო ღმერთო“ შეასრულებს კაპელა და დიდი სიმებიანი ორკესტრი, **კომპ. არაყიშვილის** დირიჟორობით.

II

1. **ვ. კოტეტიშვილი:** „უმზეო კომპოზიტორი“, 2, კომპ. არაყიშვილი. „სულხანიშვილის ხსოვნას“, 3. ალ. ახმეტელი: მოგონება“, 4. გ. ქუჩიშვილი. ლექსი „შენ სამარესთან“.

III

1. სულთა თანა“: შეასრ. კაპელა, 2. „მაშ გამარჯვება„ შეასრ. კაპელლა, 3. „მესტვირული“, შეასრ. კაპელლა. სოლოს შეასრ. ცნობილი ბარიტონი მღ. და სალარიძე.

4. „დაიგვიანეს“ არია მწყემსისა ოპ. პატარა კახიდან, შეასრ. ივ. სარაჯიშვილი, 5. ძლივს მარტო დავრჩი“, არია ირაკლისა ოპ. პატარა კახიდან შეასრ. მ. ნანობაშვილი, 6. „მო, ზუალო“ უკანასკნელი ნაწარმოები—რომანსი განსვენებულისა, შეასრ. ივ. ბიწკინაშვილი, 7. „წმინდაო ღმერთო ტრიო ბ. ბ. შაშიანელი, გარეკახელი და გურჯანელი, 8. „ტორთავ მოდი“, პირველი ნაწარმოგანსვენებულისა ახალგაზდობაში—შეასრ. იგივე ტრიო. 9. „გუთნური —სიმფონია შეასრ. კაპელლა, სოლოს შეასრ. ივ. ბიწკინაშვილი, 10. „სამშობლო ხევსურისა“, შეასრ. კაპელლა. სოლოს ივ. ბიწკინაშვილი.

IV

1. აპოთეოზი—სცენა ოპ. „პატარა კახიდან“ ქოშის მთაზე ალ. მაისურაძის გუნდი.

მთელი შემოს ვალი გადიდება განსვენებულის ოჯახის სასარგებლოდ

დასაწყისი საღ. 8-ნახევარ ს.

ბილეთები დღეიდანვე იყიდება თეატრის კასაში

656 3—3 საღამოს გამგე **ალ. ახმეტელი**

საქმეებიდან, რომლითაც შემოსული თხოვნებით შეწყალებას, ან სასამართლოს მიერ დადებულ სასჯელის შემსუბუქებას თხოულობენ, ირკვევა, რომ ეს სასჯელი სამინისტროში შემოდის მაშინ, როდესაც განაჩენები ჯერ კიდევ არ არის აღსასრულებლად მიმართული და აგრეთვე კანონიერ ძალაშიაც არ არის შესული. რითაც სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანა მეტად ბრკოლდება მაშინ, როდესაც მისჯილ განაჩენის შემსუბუქება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს განაჩენი კანონიერ ძალაში არის შესული. ამიტომ წინადადებას გაძლევთ მომავალში ის საქმეები, რომლებიც დასჯილთა შეწყალებას ან განაჩენის შემსუბუქება ეხება, წარმოადგინონ სამინისტროში მხოლოდ მას შემდეგ, რაც განაჩენი სისრულეში იქნება მოყვანილი იმ განაჩენთან გამოკლებით, რომლითაც სასჯელი სიკვდილით არის განსაზღვრული.

მომარაგების სამინისტროში

ზრუნვა პურის დასამზადებლად.

ამ საკითხის გამო მომარაგების სამინ ტროში საქართ. დეპ. სააგენ. თანამშრომელს შემდეგი განუცხადეს: მომარაგების სამინისტრომ ყველა დაინტერესებულ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების წარმომადგენლებისაგან თათბირი შემქნა, რომელზედაც გადაწყდა, რომ პურის მომარაგება უნდა მიენდოს მხოლოდ მომარაგების სამინისტროს, რომელმაც ცალკე უწყებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უნდა იზრუნოს. სამინისტრო ამ შემთხვევაში მუშაობს ერობებთან და ქალაქებთან შეთანხმებით, რომლებსაც უკვე მოწყობილი აპარატები აქვთ, რომ უფრო ინტენსიურად აწარმოონ პურის დამზადების ოპერაცია. სამინისტრო მხოლოდ გორის, სიღნაღის და თელავის მაზრებში ყიდულობს პურს უშუამავლოდ. ამ მაზრებში დამზადებითი მუშაობა უკვე ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. გორში, სიღნაღში და თელავში სახელმწიფო საწყობებია გახსნილი. და აგრეთვე დანიშნულია განსაკუთრებული რწმუნებულები. ბორჩალოს მაზრის რაიონი გადაცემულია ტფილისზე იგი სამინისტროს დირექტივებით მუშაობს. ახალქალაქის და ახალციხის მაზრები რკინის გზელთა სასურსათო აპარატებზეა გადაცემული. არც ერთ ამ ორგანიზაციათაგანს ცალკე მუშაობის უკანტროლო სურვილი არ გამოუთქამს, ვინაიდან გამოცდილებამ დაანახა მათ ერთი მთლიანი დამზადებითი ოპერაციის გეგმის არსებობის საჭიროება. დამზადებაში დაბრკოლების ასაცილებლად ხაზინაში კრედიტი მუდმივათ არის გახსნილი, რომელმაც ეს ორგანიზაციები უნდა დააკმაყოფილოს. დაახლოვებითი გამოანგარიშებით შეიძლება მიღება, თელავის მაზრაში 200.000 ფუთი პურისა და ქერისა, გორის მაზრაში 300.000 ფ. და სიღნაღის მაზრაში 500.000 ფუთის. გარდა ამისა ქუთაისის გუბერნიაში და აფხაზეთში სიმინდი იქნება დამზადებული. ამასთანავე ერთად მიღებულია ზომები საზღვარ-გარეთიდან ხორბლის იმპორტის მოსაწყობათ, რომელსაც ამდენხანს საქართველო იტალიიდან და ამერიკიდან იღებდა ნაცვლად მარგანეცისა და თამბაქოსი. მიღებულია ყველა ზომები საქონლის გაცვლა-გამოცვლის გასაძლიერებლად. დადებულია დიდი კონტრაქტები. მიღებულია ზომები თერგის ოლქიდან იმპორტის მოსაწყობად.

კავკავში იყვნენ გაგზავნილი სამინისტროს რწმუნებულები, რომლებიც ტფილისში უკვე დაბრუნდნენ და განაცხადეს, რომ კავკავი შეგვპირდა დიდძალ სიმინდის მოწოდებასო. სხვათა შორის მომარაგების სამინისტროში განაცხადეს, რომ ბათომში მოსული 500.000 ფუთი პური საქართველოს არ ეკუთვნის. იგი მიიღებს მხოლოდ ნაწილს რკინის გზაზე გადასატანის საფასურადო. ეს ნაწილი რკინის გზელთა სასურსათო კომიტეტის განკარგულებაში გადავა.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

ტყის საქმე

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ყველა ერობას და ტყის მცველებს ცირკულიარით მიმართა, რომელშიაც ტყის განყოფილება სთხოვს მათ მოაწოდონ ნამდვილი ცნობები იმ ტყეების შესახებ, რომელთა ჯიში ძვირფასადაა მიჩნეული ტყის განყოფილების განმარტებით. ასეთ ძვირფას ბუნების ადგილებად ჩაითვლება მადნეული წყლები, სადაც მომავალში მოსალოდნელია კუპორტების მოწყობა და რომლებიც ქალაქის ახლო მდებარეობს და დიდი მნიშვნელობა აქვს ესთეტიურ და სანიტარული მხრით, შემდეგ განსაკუთრებული და ლამაზი სურათები—ტყის შესახებ ესე იგი იმის გამოსარკვევად თუ რომელი შეადგენს ბუნების ძვირფას განძს, მიწათ-მოქმედებ ს სამინისტრომ კავკასიის ტყეების მცოდნეს ი. მედვედევს თხოვნით მიმართა თავისი მოსაზრების წარმოსადგენად. ყველა საჭირო ცნობის მიღების შემდეგ ძვირფას ადგილების შესახებ განსაკუთრებული კანონ-პროექტი იქნება შემუშავებული.

შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

სოხუმში ადგილობრივმა მთავრობამ აღმოაჩინა შეთქმულება რესპუბლიკის წინააღმდეგ. შეთქმულებაში მონაწილეობას ღებულობდენ კომუნისტები: კუხალეიშვილი, ვიგრიანოვი და სვანიძე. აღმოაჩინეს ყუმბარები და ბევრი ასაფეთქებელი მასალები. გამოძიება გრძელდება. დ წვრილებითი ცნობები დამატებით იქნება გამოქვეყნებული.

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ფრანგული პრესა.

ბულონის კონფერენციამ თავისი მუშაობა სამშაბათს დაასრულა.

ბელგიის პრესა ამტკიცებს, რომ ინგლისსა და ბელგიას შუა გერმანიის აღმოსავლეთთან აფრიკის შესახებ დაიდო შეთანხმება, რომელიც ინდოეთის ოკეანესთან თავისუფალ ტრანზიტის პრინციპზე მიმოსვლას აწესებსო.

თავადი არტურ კანნოტი დაინიშნა სამხრეთ აფრიკის გენერალ გუბერნატორათ.

პორტუგალიის ახალი კაბინეტის შედგენა დაევალა დომინგო პერეირს.

ბუენოს აირესიდან იუწყებიან: არგენტინის რესპუბლიკაში მყოფმა საფრანგეთის ელჩმა განაცხადაო, რომ არგენტინის მთავრობამ ნება დართო მას გამოიტანოს 11500 ტონი ხორბალი, რომელიც თავისუფალი იქნება გადასახადისაგან საფრანგეთის (?) ნავთსადგურებშიო.

საფრანგეთში ნახშირის დამუშავება ინტენსიურად ვითარდება. მუშაობა ოდნავათ შეჩერდა აფეთქებულ და წყლით გავსებულ მაღაროებში. ამათ აღსადგენათ საჭიროა რამდენიმე ხანი, მაგრამ მომავალი წლის გაზაფხულზე მათი ექსპლოატაციაც დაიწყება. უნდა ვიფიქროთ, რომ ნახშირის შოვნა ყოველწლივ 2000000 ტონს მიაღწევს. საერთოთ ქვა ნახშირის ძაღაროების მდგომარეობა იძლევა ბრწყინვალე იმედებს მომავალში, მაგრამ ძლიერ შორეულ მომავალში.

„პტი პარიზიენი“-ს ცნობით კანცლერი ფერენბახი განაგრძობს თანამშრომლების ძიებას. ბერლინში ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ფერენბახის კაბინეტი სოციალ-დემოკრატების ნდობის დამსახურებას შესძლებსო.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ ოთხშაბათს მოისმინა რა მოხსენება ავსტრიასთან საბაჟო ხელშეკრულების შესახებ, მოიწონა ხელშეკრულება და მომხსენებელს დაავალა იგი ეროვნული ყრილობის ბიუროში წარადგინოს.

ბულონში გამოტანილ გადაწყვეტილების გამო, რომ გერმანიაში 1 ივლისიდან მოკავშირეებმა იყოლიონ ელჩები, საფრანგეთმა დანიშნა გერმანიაში შარლ ლორანი, ინგლისმა ლორდ დაბერტონი და იტალიამ დემარტინო.

ბრიუსელში კონფერენციაზე, რომელსაც მიზნათ ჰქონდა გერმანიის კონტრიბუციის განაწილება იაპონია წარმოდგენილი იქნება კენგო-მოზის სახით, რომელიც ფინანსიურ აგენტათ იმყოფება პარიზისა და ლონდონის ელჩებთან. სიძნელენი, რომელიც მოკავშირეთა კომისიებს ხვდება გერმანიაში, ზემო სილეზიის ამბები და ახლო ხანმი აპალატინატში მომხდარი გაფიცვები ააშკარავებს მოქმედებას ზოგიერთი აგიტატორისას, რომელთა მოღვაწეობა მაინცის ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა. დამოუკიდებელ სოციალისტების ამ ორგანომ პალატინატში მომხდარ გაფიცვების გამო, რომელიც უკვე დასრულდა და რომელმაც წუნარად ჩაიარა, დაწერა წერილი, რომელმაც ლიუდვიგსგაფენის მუშათა წრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მაინცის გაზეთი საბოლოოდ ხსნის „გეიმატინსტას“ როლს, რომელიც სცდილობდა მოკავშირეთა მიერ დაჭერილ ტერიტორიაზე გაფიცვების მოწყობას. საბუთები, რომელიც ხელში ჩაუვარდა მაინცის გაზეთის კორესპოდენტს, ამტკიცებს რომ დეკემბერში პალატინატში ამ აგიტატორებს უნდა მოეწყოთ საერთო გაფიცვები. ათავებს რა თავის წერილს დამოუკიდებელთა ორგანო-იგი აფრთხილებს პალატინატის მუშებს არა აყვენ ამ აგიტატორებს, რომლებმაც შეიძლება რომ მათ მოატყუონ. კარგი იქნებოდა რომ ეს რჩევა გაეგონათ გერმანიის მცხოვრებლებს სხვა ოლქებშიც, სადაც მოკავშირეებს თავის მუშაობაში სიძნელე ხვდებათ.

მოსკოვი, ივნისის 24. ც. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

ბრიანსკი. ივნ. 22. პოლონეთის ფრონტისათვის მოსამზადებელ აგიტატორების კურსებში მაცადინეობა დასრულდა. სოფლებში დაგზავნეს ექსკურსანტები მცხოვრებთა შორის აგიტაციის გასაწევად.

ვერხნე-უდინსკი შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჩინეთის წარმომადგენელს წერილით მიმართა და გამოსთქვა სურვილი, რათა ორივე რესპუბლიკის შორის კეთილ მეზობლური განწყობილება დამყარდეს.

გარეშე საქმეთა კომისრის ჩიჩერინის განცხადების შემდეგ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ცნობის შესახებ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრი ფიქრობს ამ ახლო მომავალში მოიწვიოს კონფერენცია დაინტერესებულ რესპუბლიკებისა: ჩინეთის, რუსეთის და შორეულ აღმოსავლეთის.

ჩინეთის ჟურნალისტების საბჭო საბჭოთა რუსეთში თავის წარმომადგენლებს გზავნის იმ მიზნით, რომ ადგილობრივად გაეცნონ საქმის მდგომარეობას.

ნიდერი, ივნ. 23. ბულონის კონფერენციაზე ლოიდ ჯორჯმა სურვილი გამოსთქვა საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკურ დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. მილიერანი კი მომხრე იყო მხოლოდ ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენისა მანამ, სანამ საბჭოთა რუსეთი თავის თავზე არ მიიღებს ძველი რუსეთის ვალების გადახდას.

ვლადივასტოკი. ივნისის 19. ტეკინელების (გამოტოვებულია) დროებითი მთავრობა პარლამენტს იწვევს.

ხარკოვი. ივნისის 23. პოლტავის მაზრაში ბანდიტებთან ბრძოლა სწარმოებს. ბრძოლაში გლეხები პირდაპირ მონაწილეობას იღებენ.

შრომის კომიტეტმა მშენებელ და მკეთებელ მუშების მობილიზაცია გამოაცხადა.

მოსკოვი ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

მოსკოვი. 25 ივნისი, 24 ივნისის ოპერატიული რადიო-ცნობა, მოზირის მიმართულებით ჩვენი ჯარები მკაცრი ბრძოლებით ამარცხებს მოპირდაპირეს, რომელიც მკაცრ თავდაცვაზე გადავიდა. ჩვენი ერთი რაზმის სწრაფი შეტევით, აღებულია სოფელი ბორსუკი, რომელიც მოზირის აღმოსავლეთით 120 ვერსზე მდგომარეობს. შეტევა გრძელდება. პროსკუროვის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა ქალაქი ლიტინი აიღეს და ქალაქ ლეტიჩევის აღმოსავლეთ 10 ვერსზე ბრძოლას აწარმოებენ ყირიმის მიმართულებით. მელიტოპოლ-ალექსანდროვის რკინის გზის რაიონში ჩვენი ჯარები, გადავიდა რა შეტევაზე, მკაცრი ბრძოლების შესდეგ სოფელთა წყება დაიკავეს. როსტოვის საბჭოების საოლქო ყრილობამ გადაჭრილი გადაწყვეტილება მიიღო დაეხმარონ საბჭოთა რუსეთს პოლონელებთან ბრძოლაში.

რუმინეთში სერიოზული მელვარება დაიწყო, გაკეთებულია ბარიკადები, აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოუშვეს ჯავშნოსანი ავტომობილები ტყვიისმქრეველებით და სახელმწიფო გვარდია. ბულგარეთში განკარგულება გამოსცეს, რომ იმ პირებმა, რომლებსაც განსაზღვრული საქმე არ აქვთ დასტოვონ საზღვრები. ეს ზომა უმთავრესად რუს ლტოლვილებს ეხება. სერბიის მთავრობა უფრო აშკარად ეპყრობა მათ. რუს ლტოლვილებს არა მარტო აკრძალული აქვთ სამხრეთ სლავიაში შესვლა, არამედ აკრძალული აქვთ ამ ქვეყნებზე გავლაც კი.

უნგრეთის მთავრობა გადადგა. ვიურტენბურგის რამდენიმე ქალაქში ცხოვრების გაძვირების გამო მღელვარება დაიწყო. პოლიციასთან ბრბოს შეტაკების დროს რამდენიმე დაიჭრა და მოკვდა. ლუბლინში მოკვლის განზრახვით, ესროლოს პოლიციის უფროსს.

საბერძნეთში სასახლის გადატრიალება მზადდება. მოსალოდნელია რომ ტახტი კონსტანტინეს დაუბრუნდეს. დაიჭირეს მრავალი ოფიცერი.

უცხოეთი

ტფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები.

სოფიახოდელი. ყირიმში იაპონიის წარმომადგენელმა მაიორმა ტაკასიხიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს შორეული აღმოსავლეთის შესახებ შემდეგი ცნობები მოიყვანა: ციმბირის ბოლშევიკებმა მთელი თავისი ენერგია მანჯურიაში, კორეაში და იაპონიაში რევოლიუციონურ იდეების პროპაგანდისაკენ მიმართეს. შორეულ აღმოსავლეთის იაპონიის სარდლობამ განსაკუთრებულ დეკლარაციაში განაცხადა, რომ იაპონიის ჯარები შორეულ აღმოსავლეთიდან მანამ არ წავლენ, სანამ აღმოსავლეთ ციმბირში წესიერება არ დამყარდება, სანამ კორეია და იაპონია ბოლშევიკურ საშიშროების ქვეშ იქნება, და სანამ იაპონიის მთავრობა არ მიიღებს სრულ გარანტიას მის ქვეშევრდომ მოქალაქეთა ქონების და პიროვნების ხელშეუხებლობისა.

მაიორმა ტაკასიხიმ თავის მთავრობის სახელით განაცხადა, რომ იაპონია საბჭოთა მთავრობას რუსეთის ხალხის ნების გამომხატველად არ სთვლის. ცალკე დამოუკიდებელ მთავრობებიდან, რომლებიც შორეულ აღმო-

ავლეთში არსებობს, იაპონიის აქტიურ დახმარებით სარგებლობს გენ. სემინოვის მთავრობა ჩიტაში და გენ. ხორვატისა—ხარბინში. ვლადივასტოკის მთავრობის სათავეში სოც-რევოლიუციონერი მედვედევი სდგას, სამხედრო ძალებს კი გენ. ბოლდირევი ხელმძღვანელობს. ბოლშევიკური მთავრობა ვერხნეუდინსკში იმყოფება. მთავრობის სათავეში არის მუშა კრასნოშჩეკოვი, საერთოდ გარწმუნებთ, სთქვა მაიორმა ტაკისიხიმ, რომ იაპონიას ვლადივასტოკზე და ციმბირზე არავითარი პრეტენზიები არ აქვს. იაპონიას აქვს ერთი მიზანი—ციმბირში წესიერების აღდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლშევიკებიც ჩვენ გვიმხადებენ საფრთხეს, თუმცა ამდენხანს ბოლშევიკურ პროპაგანდას იაპონიაში არავითარი შედეგი არ მოუცია. მე აი ეს არის მივიღე დეპეშა, დაათავა ტაკასიხიმ, და ამ დეპეშაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ იაპონია შორეულ აღმოსავლეთში ბოლშევიკებთა ბრძოლაში რუსეთს დახმარებას გაუწევენ. არავითარ ტერიტორიალურ კომპენსაციას იაპონია ამაში არ თხოულობს.

პარიზი. „ტანი“ ერთ-ერთ წერილში, რომელსაც სათაურად აქვს ოსმალეთის ბედი იუწყება: ჯარებმა, რომელიც ინგლისის გემებმა „რევანშმა“ და „რაფილმა“ მოიყვანეს ტრაპიზუნდის ფორტები გაანადგურეს. ეს ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულების პუნქტებს სავსებით ეთანხმება. ფორტის ზარბაზნები გააფუჭეს. ინგლისის საზღვაო ძალების ნაწილი სამსუნში დასტოვეს.

პარიზი. ალბერტ ლონდრი გაზეთ „ფიგაროში“ მოთავსებულ წერილ „პეტროგრადშ“ პეტროგრადის ცხოვრების შესახებ შემდეგს იუწყება „მე რამოდენიმე ხანი დავყავი რუსეთის ყოფილ სატახტო ქალაქში და ამიტომ ვწერ ჩემ შთაბეჭდილებას. სახლები ისეა დასვრილი, რომ არ არის საშუალება წინანდელი ძვირფასად მოწყობილი ბინები გაარჩიო. ბანკები, სასტუმროები, რესტორნები ყაზამრმებად და გოსპიტლებად არის გადაქცეული. ლიონის კრედიტი შეშის სარდაფად არის გადაქცეული. ნევის პროსპექტი საუკეთესო ილიუსტრაცია არის იმ საშინელებისა, რომელიც პეტროგრადში მეფობს.

პარიზი. ქალაქის 700 ათასი მცხოვრები ერთზე ოცნებობს საჭმელზე. მშიერი და დაღლილნი დაეხეტებიან ქუჩებში და უცდიან როდის მიიღებენ საჭმელს საზოგადო სასადილოებიდან. აქ ეს ადამიანები, რომლებიც მხეცებს დამსგავსებიან, ხარბად შეექცევიან საჭმელს. ადამიანი პეტროგრადში თავისი მახლობელისათვის მგლათ გადაქცეულა. ფასი სურსათზე შემდეგია: კვერცხი 250 მან. ლიტრა რძე 900 მან. გირვანქა ერბო 3,000 მან. შაქარი 2600 მან., პური 300 მან., პირებს, რომლებიც დიკტატორებთან სამსახურში არ ირიცხებიან და რომლებსაც სიმშილით სიკვდილი არ უნდათ, ერთი გზა დარჩენიათ გამოიკვებონ საბჭოთა სალაფადით.

კონსტანტინოპოლი. ბულგარეთში მყოფმა რუსმა ლტოლვილებმა: პროფესორებმა, მოზელეებმა, ინჟინერებმა და სხ. ბულგარიის მთავრობას თხოვნით მიმართეს, რათა სამუშავო მისცენ. ბულგარიის რკინის გზებზე ბევრ ინჟინერს მისცეს სამუშაო.

სევასტოპოლი. ფინანსების განყოფილება იუწყება, რომ მაისის პირველ ნახევრში ყირიმის შემნახველ-კასებში მცხოვრებლებმა 320 მილ. მანეთი შეიტანესო. ასეთი გადიდება თანხისა აიხსნება ყირიმის ფულის ნიშნებით გაქლენთითა და ამ ნიშნების არაუზრუნველყოფით. სევასტოპოლში, მიუხედავათ მიღებულ ზომებისა ხოლერა მძვინვარებს, ყოველ დღე 25 კაცი ხდება ავათ და სიმფეროპოლში კი ყოველ დღე 50 კაცი ხდება ავათ.

პარიზი. გერმანიის გაზეთები ერთგვარ საიდუმლოებით იხილავენ ფინეთის წარმომადგენელის გენერალ მანერგეიმის ბერლინში ყოფნას. გადმოგვცემენ, რომ მანერგეიმი ბერლინში მოვიდა პრუსიაში მყოფ ინგლისის მეთაურთან მოსალაპარაკებლადო. ინგლისი მაშინ, როდესაც ბალშევიკები სპარსეთში წინ მიიწევენ, სასურველად სცნობს ბალშევიკების ყურადღება ჩრდილოეთისაკენ მიაქციოს ფინლიანდიის საშიშროების შექმნით.

ახალი ამბები

შავი ქვის მომარაგება. მომარაგების სამინისტროს ცნობით ჭიათურის და ფოთის საწყობებში ამ ჟამად 50 მილიონ ფუთი შავი ქვა ინახება. აქედან გარეცხილი ქვაა 10—15 მილიონი ფუთი. რამდენიმე გემი უკვე დატვირთულია შავი ქვით და მომარაგების სამინისტრომ უკვე გაგზავნა საზღვარგარეთ რათა ეს, ევროპისთვის აუცილებელი საქონელი გასცვალონ პურზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე, მედიკამენტებზე და მანუფაქტურაზე. მოკლე დროში კიდევ რამდენიმე გემს დატვირთავენ ევროპაში წასასვლელად.

კოოპერატიული ცხოვრება. ტფილისისა და ბათუმის ცენტრ. კავშირის კანტორები იწყებენ ამიერ-კავკასიის სპარსეთისა და აღმოსავლეთ ანატოლიის ეკონომიური მდგომარეობის გამორკვევას. ამიტომ კანტორასთან გაიხსნა სტატისტიკური ეკონომიურ განყოფილება.

ქალაქის საერთო საავათმყოფო კასა. თავის ფინანსიურ ანგარიშში საავათმყოფო კასა იუწყება, რომ 5 თვის განმავლობაში კასის მონაწილეთა დასახმარებლად დაიხარჯა 1.853,037 მან. ივნისის 1 დარჩენილა 754,374 მან. საერთოთ ავათმყოფებს მიეცათ 875,950 მან. უბედური შემთხვევის დროს გაცემულია 7,308 მან. დამარხისათვის დახმარება—40,591 მან. დახმარება მშობიარების დროს 58,093 მ. დახმარება თავისუფლების დროს გაძლიერებულ საზრდოობისათვის—42,827 მან. კასის მონაწილეთა ოჯახებს საექიმო დახმარება—1360 მან. საშუალო თვიური ხარჯი დახმარების სახით 217,991 მ. საშუალო შემოსავალი 425,532 მან.

ჯარისკაცთა ოჯახების საგაზაფხულო მუშაობა. თავის დროზე, თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, წინადადება მიეცა ყველა სამაზრო ერობებს მიიღონ სათანადო ზომები ჯარში გაწვეულთა მიწების დასამუშავებლად. ეს ბრძანება თითქმის ყველგან მოჰყავთ სისრულეში იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ადგილობრივ პირობების მიხედვით. თავდაცვის საბჭომ, რომ უფრო ნაყოფიერი შეიქნეს ადგილობრივი თვითმართველობათა მიერ ზემო აღნიშნულ ოჯახებზე აღმოჩენილი დახმარება, 23 ივნისის სხდომაზე ნება დართო მთავარსარდალს სამხედრო ერთეულებში სახეზე მყოფ ჯარისკაცთა ათი პროც-ზე საგაზაფხულო სამუშაოდ შვებულების მიცემისა. ამ სახით ჯარისკაცებს საშუალება მიეცემა ერთი მხრით უფრო ნაყოფიერად მოიხმარონ ადგილობრივ თვითმართველობათა დახმარება და მეორეს მხრით თავისი საკუთარი შრომით მოაწესრიგონ ოჯახის მდგომარეობა.

სურსათის განაწილება. სასურსათო განყოფილებამ შეადგინა დიოგრამა განყოფილების საქმიანობის შესახებ. ამ დიოგრამიდან სჩანს, რომ განყოფილება საერთოთ ანაწილებს სხვა და სხვა სურსათს 17.735,602 მან. ამ რიცხვში მცხოვრებთა შორის ნაწილდება სურსათი 9.458,563 მან. ე. ი. 53, 3%. ტფილისის დაწესებულებების მუშებისა და მოსამსახურეებს შორის 4.467,398 მ. ნ. ე. ი. 25,2% ქალაქის წარმოების მოსამსახურეთა და მუშათა შორის 1,642,024, ქალაქის დაწესებულებათა შორის 1,293,333 მან. სხვა დაწესებულებებზე 874,344 მან. ვანგარიშობთ რა, რომ ტფილისის მცხოვრებლებს შეადგენს 270,000 სულ პურის მოთხოვნილება საერთოთ გამოანგარიშებულია თვიურად 243,000 ფ. შაქარი კი თვიურად 8,555 ფუთი იხარჯება.

ფინანსიურ ეკონომიური ცხოვრება.

იაფი ენერგიის აღმარაგება საქართველოსთვის.

ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა ტეხნიკურმა კომიტეტმა სერიოზული ყურადღება მიაქცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ენერგიის წყაროების დამუშავების საკითხს, ამ წყაროებს შეუძლიათ უზრუნველყონ ენერგიით რესპუბლიკის მოთხოვნილება სამუდამოთ. ამას შეიძლება მივაღწიოთ თეთრი-ნახშირის დამუშავებით. ამ საკითხის გამოსარკვევად ტეხნიკურ კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოყო ინჟინერების ორი ჯგუფი, რომელთაგანაც ერთი მუშაობს საქართველოში არსებულ სათბობ სადგურების მანამდის მოსავლელად, სანამ ჰიდრო-ელექტრონის მანქანები არ აშუშავდება. მეორე ჯგუფი იკვლევს ტფილისის ახლო მყოფ ჰიდრავლიურ ენერგიის წყაროებს.

ინჟენერების პირველმა ჯგუფმა უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა. მან გამოიკვლია, ვადა, რომლის განმავლობაში საჭიროა არსებობა სათბობი სადგურების კიდევ 4—7 წლით. ამის გამო ფიქრობენ ტეხნიკური კომოტეტის სახელით მიმართონ ფინანსთა მინისტრს ამ სადგურებისათვის საჭირო მასალის გადასაცემად. ამასთანავე ჩამოთვლილი იქნება ელექტრონის სადგურებისათვის საჭირო ნაწილები და მათ საყიდლად საზღვარგარეთ გააგზავნიან კომიტეტის წარმომადგენელს. ინჟენერთა მეორე ჯგუფი კი იკვლევს ტფილისთან ახლო მყოფ ენერგიის თუნდაც არა ძლიერ წყაროებს, სადაც შესაძლებელი იქნება ჰიდრო-ელექტრიული მანქანების დადგმა.

სავაჭრო გადასახადი.

ფინანსთა მინისტრის საბჭოში იხილავენ სავაჭრო გადასახადის დადების პროექტს იმ იმპორტიორებსა და ექსპორტიორებზე, რომელთაც საქართველოს საზღვრებში მუდმივი სავაჭრო დაწესებულებანი არა აქვთ. აქამდის ეს პირები უსხლტებოდენ სავაჭრო გადასახადის გადახდას, რადგანაც საქართველოში მხოლოდ მოკლე ხნით შემოდიოდენ.

ვაჭრობა-მრეწველობის ორგანიზაცია

მრეწველთა ხელმძღვანელი წრეები დაინტერესებული არიან საერთაშორისო სავაჭრო პალატის ორგანიზაციის საკითხით. ბილებულ ცნობებით საერთაშორისო სავაჭრო პალატას სურს თანამედროვე ვაჭრობა ჩააყენოს უფრო ნორმალურ პირობებში და ყოველგვარათ ებრძოლოს სპეკულიაციას. საერთაშორისო სავაჭრო პალატას მიზნათ აქვს წარმოადგინოს არა მარტო საერთაშორისო ვაჭრობა და მრეწველობა, არამედ საერთაშორისო სავაჭრო პალატა ყოველგვარ ზომას მიიღებს სავაჭრო ფლოტის და იქ საქონელთა გატან-გამოტანის მოსაწყობათ, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანას სჭირდება. საერთაშორისო აპარატის მომავალ მოქმედების ხასიათით დაინტერესდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაც, რომლის პრეზიდიუმი ფიქრობს ერთი თავისი წარმომადგენელი გაგზავნოს ევროპაში. ეს პირი იქნება საქართველოს პალატის წარმომადგენელი და მონაწილეობას მიიღებს ს ერთაშორისო სავაჭრო პალატის საორგანიზაციო მუშაობაში.

მუშათა შორის

შრომის ბირჟის კონფერენცია.

შრომის სამინისტრო მოკლე დროში საქართველოს შრომის ბირჟის წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევას ფიქრობს. კონფერენციამ შემდეგი საკითხები უნდა განიხილოს. 1, მოთხოვნილებისა და შრომის წინადადების მოწესრიგება. 2, ცენტრალური შრომის ბირჟის დაარსება. 3, არსებულ რეგისტრაციის სისტემის და სარეგისტრაციო ბარათების შეცვლა და სხვა.

შრომის ბირჟის მოქმედება.

შრომის ბირჟას აუწყებენ მოთხოვნილება ბინის მუშაობაზე და შეშის დამზადებაზე 10-15 ჯერ მეტია შრომის წინადადებაზე. ამის გამო ბირჟამ შემოიღო რიგი მუშათა გასაგზავნათ. პირველ რიგში კმაყოფილდება სახელმწიფო, ერობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებების მოთხოვნილება. ინტელიგენტური შრომის წინადადება მოთხოვნას 50-60 ჯერ აღემატება.

სატარიფო პალატაში.

სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა 23 ივნისის სხდომაზე მეკარეების, კლუბებში, რესტორნებში და სასტუმროებში მოსამსახურეთა ჯამაგირების საკითხის განხილვის დროს დაადგინა:

1 ივისიდან მათი ჯამაგირი გაუთანასწორდეს ოფიციანტებისას, და „ჩაის“ ფულის ნება არ ექნებათ.

მეთამბაქოელთა შორის.

მეთამბაქოელთა კავშირის გამგეობამ მიმართა სატარიფო პალატას შუამდგომლობით მიიღოს ზომები, რომ თამბაქოს მცირე წარმოებათა მეპატრონეებმა მისცეს თავის მუშებს და მოსამსახურეთ ერთდროული დახმარება, რადგან ზოგიერთი წარმოება დასთანახმდა დახმარების ნაწილ-ნაწილად და არა ერთდროულად დარიგებაზე.

—

მეთამბაქოეთა კავშირის გამგეობამ დაადგინა ის, ვინც კავშირის გაუგებრად სამსახურს თავს დაანებებს კავშირიდან გამოირიცხონ. გამგეობამ დაადგინა წინადადება მისცეს შინა კომისიებს მიიღონ ზომები, რათა სახლში დღიური მუშაობის სისტემა მოსპობილ იქნას და ის მუშები, რომელიც შინ ღებულობენ სამუშაოს ფაბრიკაში იქნეს გადაყვანილნი.

მშენებელ მუშათა კავშირში.

მშენებელ მუშათა კავშირის გამგეობამ მიმართა პროფ. კავშირთა საბჭოს, მოხსენებით, სადაც აღნიშნავენ: „ტფილისის ქალაქის თვითმართველობა ახალი შენობების ასაშენებლად და შესაკეთებლად ხარჯავს მილიონ მანეთებს და ავალებს ამ საქმეს მოიჯარადრეთ, რომლებიც ასიათასობით იღებენ, იმ დროს, როდესაც ევროპაში ამ მუშაობას აწარმოებს მუნიციპალიტეტი სამეუნეო საშუალებით რითაც იაფდება მუშაობა და მუშათა ექსპლოატაცია თავიდან აცილებულია. ამ მოსაზრებით მშენებელი მუშათა კავშირი სთხოვს პრ. კავშ. საბჭოს აღძრას შუამდგომლობა თვითმართველობის წინაშე, რათა ყველა აღმშენებლობითი საქმე გადაეცეს კავშირს, რომელიც საქმის კეთილ სინდისიერათ ასრულების პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს.

ფრონტისათვის

ტფილისის ქალაქის სხვა და სხვა სასწავლებლებიდან 54 პარკი საჩუქარი.

მელიქ-ბახტამიანცის უფასო პროფესიონ. სასწ. 19 პარკი საჩუქარი.

პირველი რუსული ნავთლულის საქმ. სასწავლ. პარკები საჩუქრებით 3 ცალი წუმწუმა 7 კოლოფი, კონვერტები 6 ცალი, პაპიროსის ქაღალდი 2 წიგნაკი.

ვაჭრობა-მრეწველობის პალატიდან მონპასიე 2 ყუთი, ნამცხვარი 3 ყუთი, თამბაქო 2 ყუთი, პაპიროსი 16¼ შეკვრა, თამბაქო 4 პაჩკა და 8 ცალი, სხვა და სხვა ნივთები (ხელსახოცი, სავარცხელი და ძაფი) 4 ყუთი, თხილი 15½ ტომარა, საპონი სარეცხი 40 ყუთი (8 ფუთი).

პროფესიონალური საბჭოსაგან სუხარი 5 ფუთი და 5 გირ., ბამბა (გიგროსკოპიული) 1 ფუთი, ლიმონათი 700 ბოთლი.

კოოპერატივთა კავშირისაგან შაქარი (რაფინადი) 6 ფუთი, ძაფი 60 დიუჟ. ფანქარი 120 დიუჟ.

კაფიევისაგან ჩაი½ გირ., ხელის საპონი 1 ცალი, წუმწუმა 10 ცალი, კონსერვი (ყეფალი) 1 ცალი.

ფოთის რკინის გზის სასწავლებლისაგან თამბაქო 10½ გირ. საჩუქარი პარკებში 10 ცალი, ბამბა 1 კოლ., პაპიროსი 5 კოლოფი, საპონი 2 ნაჭ.

ტფილისის რკინის გზის სასწავლებლისაგან პარკები საჩუქრებით 132 ზ. გაზეთები 11 ცალ.

ტფილისის მე-3 რკინის გზის სასწავლ. ბამბა ⅛ გირ. პარკები საჩ. 100 ცალი.

ტფილისის უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლ. პარკები საჩ. 70 ცალი.

ტფილ. სამოსწ. რკინ. გზის კომიტეტისაგან პარკები 22 ცალი.

სენაკის რკინის გზის სასწავლ. მოწაფ. პარკი სხვა და სხვა ნივთები 1 ც.

სამტრედიის დასაწ. სასწ. პარკები 65 ცალ.

ტფილისის მე-5 რკინის გზის სასწავლ. პარკები 83 ცალი.

სამტრედიის რკინის გზის სასწავლ. სხვა და სხვა ნივთები 1 ყუთი, პარკები საჩუქრებით 51 ცალი.

მიხაილოვის სასწავლებლისაგან პარკები საჩუქრებით 4 ცალი, პაპიროსი და წუმწუმა 1 ცალი.

ქუთაისის რკ. გზის სასწ. პარკები საჩუქრებით 44 ცალი.

მიხაილოვის მე-2 რკ. გზის სასწავლ. პარკები 5 ცალი, პარკი 1 ცალი.

შორაპნის რკინის გზის სასწავლებ. პარკები 35 ცალი.

სამხედრ. სამინისტ. კულტურ. განმ. სექ. წიგნები № 1—100 ცალი.

ქვალონის 2 კლასიან სასწავ. მოწაფ. პაპიროსები 12 კოლოფი, თამბაქო 17 შეკვრა, ასანთი 53 კოლ. პაპიროსის ქაღალდი 16 წიგნაკი, ფოსტის ქაღალდი და კონვერტი 79 ცალი, სარეცხი საპონი 16 ნაჭერი, ფანქარი 2 ცალი, კალმის ტარები 6 ცალი.

სენაკის მაზრის ერობისაგან თამბაქო 17 შეკვრა, ასანთი 7 კოლოფი, პაპიროსის ქაღალდი 24 წიგნაკი, ძაფი 1 ამოხვევა, პაპიროსი 10 კოლოფი.

ზაქარია გეუოქას ძე ტერტეროვისაგან ღვინო 2 ვედრო.

რკინის გზის სასურსათო კომიტეტ.: თამბაქო 5 გირ., წუმწუმა 90 კოლოფი, ფოსტის ქაღალდი 3 შეკვრა, ხელის საპონი 60 ცალი, ფანქარი 12 დიუჟ. პარკები საჩ. 6 ცალ.

ბათომის ეროვნული საბჭოსაგან: საჩუქრები 8 ყუთი 1151 პარკი.

არაბიძის წიგნ. გამომც. ამხ.—გან სხვა და სხვა წიგნები 1718 მან. უბის წიგნები 100 ცალი.

ჭიათურის სასწ.: საჩ. პარკებში 542 ცალი. ძველი სენაკის თემიდან: კვერცხი 303 ცალი, თუთუნი 2 ბ., პაპიროსი 1 პაჩ. ასანთი 2 წნდა 1 წყვილი, ცხვირსახოცი 1 ცალი, პაპიროსის ქაღალდი 1 წიგნაკი. ქაღალდი და კონვერტი 7 წყვილი.

ქალაქთა კავშირი

ქალაქთა კავშირი იუწყება, რომ ფინანსთა საქმინისტრომ ნება დართო ქალაქთა კავშირს ფოთში და ტფილისში გახსნას სატრანზიტო საწყობები. ყველა საქონელი, რომელიც საზღვარ-გარეთიდან სატრანზიტო საწყობის სახელზე მოდის, შემდეგ საზღვარ გარეთ გატანის უფლებას არ კარგავს, რა მიმართულებითაც არ უნდა იყოს იგი. საქონლის გატანა შეიძლება უნებართვოთ და გასატან გადასახდის გადაუხდელად დადგენილია შემოფარგვლა მხოლოდ სურსათზე ტ უგადასახადო ბარგზე, რომლის საერთო რიცხვიდან შეიძლება გამოტანილი იქნეს არა უმეტეს 75%, 25% კი დარჩება რესპუბლიკის მიდამოებში გასასყიდად. ქალაქთა კავშირმა უკვე გახსნა სატრანზიტო საწყობი ტფილისში. ამ დღეებში გაიხსნება ფოთშიც. ქალაქთა კავშირში აღნიშნავენ, რომ ამ ჟამად საჭიროა რუსეთთან და ადერბეიჯანთან ეკონომიური კავშირის გამო ეს საწყობები საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმის განვითარებაში დიდ როლს ითამაშებსო-

ფოსტა-ტელეგრაფი

ფოსტა-ტელეგრაფის ახალი განყოფილებანი.

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქიდან იუწყებიან, რომ უკანასკნელ ხანებში გედაში, რაჭის მაზრაში და სოფ. ბძგალში (ზუგდიდან 33 ვერ.) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ამ უკანასკნელი ადგილისათვის ყოველგვარი კორესპონდენციის გაცვლა-გამოცვლა ხდება ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მთავარ მართველობაში გაძლიერებულია მუშაობა შორეულ პროვინციებში საფოსტო განყოფილების დასაარსებლად. ამასთან ერთად მოსაზადებელი მუშაობა სწარმოებს მაზრებსა და სოფლებს შორის ტელეფონის დამოკიდებულების დასამყარებლად.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა ატესტატი № 620 ილია ზეინალოვის სახელზე, მიღებული ტფ. 1-ლ კომერციულ სასწავლებლიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1601 3—3

დაიკარგა მოწმობა № 15553 პრაპორჩიკ ალექსანდრე სერგოს ძე პონდოევის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1576 3—3

დაიკარგა პასპორტი ელენე მიტროფანეს ასული იზოტოვას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1594 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა აფანასი გიორგის ძე ლარიონოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 596 3—3

დაიკარგა პასპორტი № 385 სოლომონ ნესტორის ძე კვირიკაძის სახელზე, მიღებული კულაშის თემის გამგეობისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—3

დაიკარგა პასპორტი № 944 ნიკოლოზ მიტროფანეს ძე ნესინოვის სახელზე, მიღებული ალექსანდრეს ოლქის სამმართველოდან (ვორონეჟის გუბ.). გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1600 3—3

დაიკარგა მოწმობა № 758, მიღებული საალიბიო სამმართველოდან იოსებ კობელაშვილის სახელზე, რომ მას აქვს რესტორანი საოთანადო პატენტით. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1605 3—2

დაიკარგა მინდობილობა, მიცემული ვასილი ბეჟანის ძე ჩაჩიბაიას მიერ ნაფიცი ვექილი მარკ პარლეს ძე შუკიანისადმი და დამტკიცებული ტფ. ნოტარიუსი მაჭავარიანის მიერ რეესტრით № 8535. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1585 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ბათუმის საკონსულოს მიერ, სამხედრო ნუსხა, მიღებული ქუთაისის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, ცენტრობანკის ორმოცი აქციების დროებითი მოწმობები და სხვა საბუთები ევ. ჩხატარაიშვილის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1569 3—2

1918 წ. აგვისტოს 22. ტფილისის ოლქის სასამართ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გრიგოლ, გიორგი და დავით თუმანიშვილებმა 1515 მ. მიჰყიდეს ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მალაძეს მიწის ნაჭერი ზომით 100,80 კვ. საჟ. მდებ რე ქ. გორში.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხ. 1 მ. 50 კ., გადას. 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 60 მ. 60 კ.

მთავარი ამონაწერი 8 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 306 1—1

1918 წ. აგვისტოს 22, ტფილისის ოლქის სასამართ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გრიგოლ, გიორგი და დავით ნიკოლოზის ძე თუმანიშვილებმა 1515 მან. მიჰყიდეს ზაქარია ბესარიონის ძე გიგაურს მიწის ნაჭერი, ზომით 100,86 კვ, ს., მდებარე ქ. გორში.

გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ. 1 მან. 50 კ., გადას. 1 მან. 20 კ., სიმტკიცის 60 მან. 60 კ.

მთავარი ამონაწერი 8 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 306 1—1

1919 წლ. იანვრის 30, ტფილისის ოლქის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ილარიონ, იასონ, ნინო, გიორგი და ნიკოლოზ ვასილის ძეთ და ოლღა საჩინოს ასულ გაბაშვილებმა და დარია ვასილის გაბაშვილის ასულ ყიფშიძისამ 8000 მან. მიჰყიდეს ნინო ევგენის ასულ დილევსკის მიწის ნაჭერი № 64, 65, 74, 75, 84, 85, 92, 93, 102, 103 სულ 4000 ოთხკ. ს., მეორე ნაწილი № 107, 108 ზომით თითო 400 ს, ორივე 800 ოთხკ. საჟ. საერთო ზომა 2 დეს. მდებარე ქ. ტფილისში 1 უბ.

გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ. 1 მან. 50 კ., გადას. 60 კ. და სიმტკიცის 40 მან.

მთავარი ამონაწერი 40 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 339 1—1

დაიკარგა პასპორტი ანტონ იაკოფის ძე ბანეთიშვილის სახელზე, მიღებული, მარტყოფის სოფლის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1627 3—1

დაიკარგა ატესტატი № 140 ბორის ლევის სახელზე, მიღებული პალმოვის რუსულ საშუალო სასწავლებლიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1630 3—1

ქ. ტფილისის მე-15 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის ანნა დიმიტრის ასული ამილახვარის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ მათ 1241 მუხ. X ტ. I ნ. სამოქ. კანონ. დაწესებულ ვადაში თავიანთი უფლება ზემოხსენებულ ამილახვრის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზედ. 1615 3-1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 208 მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ა. წ. 8 ივნისს; პირადობის მოწმობა № 1861, მიღებული სომხეთის ნაციონალურ საბჭოდან და, მოწმობა, მიღებული კავკავის ქალაქის მილიციიდან 1919 წ. ივანე ალექსანდრეს ძე ოგანოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1614 3—1

დაიკარგა ვაჭრობის ნებართვა № 213 ათანასი გიორგის ძე ლარიონოვის სახელზე, მიღებული ტფილისის ქალაქის გამგეობიდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1632 3—1

დაიკარგა მოწაფეობის მოწმობა ალექსანდრე არიუტინიანის სახელზე, მიღებული ტფ. 5 ვაჟთა გიმნაზიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1633 3—1

დაიკარგა პასპორტი გალუსტა სიმონის ძე დოვლადბეკოვის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთ სამმართველოდან 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1634 3—1

დაიკარგა ქალთა მე-2 გიმნაზიის მე 9 კლასის დამთავრების და ფრანგული ენის მასწავლებლობის მოწმობები, მიღებული კავკასიის სამოსწავლო ოლქიდან, ნამსახურობის ნუსხა, მიღებული ტფ. რეალურ სასწავლებლიდან და მეტრიკული მოწმობა, მიღებული ტფ. სინოდალურ კანტორიდან—ნეონილი დიმიტრის ასული ნაუმენკოს სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1575 3—3

დაიკარგა პასპორტი იასონ გაბოიელის ძე ხოტივრის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—3

1919 წლის თებერვლის 4-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მელანია ტატულოვის ასულმა თეიმურაზოვამ 20000 მან. მიჰყიდა ბაგრატ ივანეს ძეს ოგანეზოვს ორი მიწის ნაჭერი, რომლიდანაც პირველი შენობებით ორივე მხარედან 16 საჟ. და 1 არშ. სიგანით, და 5 საჟ. და 1 არშ. სიგრძით, მეორე ნაჭერი უშენობოთ ზომით 130 ოთხკ. საჟ., მდებარე ქ. თელავში ქალაქის № 1239 და 1240.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 60 კ. და სიმტკიცის 600 მან.

მთავარი ამონაწერი 100 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 339 1—1

დაიკარგა კახეთიდან ღვინის გადმოტანის ნებართვა გიორგი მესხიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. აქციზის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1637 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი დავით მაკარისძე გაჩეჩილაძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1639 3—1

1919 წლის თებერვლის 6-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ადელაიდა ნაპალეონის ასულ ამაშუკელმა 1000 მან. მიჰყიდა ნატალია ლავრენტის ასულ კაკულიას მიწის ნაჭერი, ზომით 84 ოთხკ. ს., მდებარე ქ. ტფილისში მე-2 უბანში, ქალაქის № 394.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კაპ., გადასაწერი 60 კ., და სიმტკიცის 40 მან.

მთავარი ამონაწერი 5 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 339 1—1

1919 წლის თებერვლის 5-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სუსანა ივანეს ასულ გუკასოვამ და ნინო საგამელის ასულ ნაზაროვმა 5,500 მან. მიჰყიდეს ალექსანდრე სერგის ძე სარქისოვს მიწის ნაჭერი, ზომით 360,7 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში 1 უბ. ქალაქის № 964,

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ. და სიმტკიცის 220 მან.

მთავარი ამონაწერი 27 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 339 1—1

1919 წლის იანვრის 30-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ილარიონ, იასონ, ნინო, გიორგი და ნიკოლოზ და ოღლა საჩინოს ასულმა გაბაშვილებმა და დარია ვასილ გაბაშვილის ასულ ყიფშიძისამ 8000 მან. მიჰყიდეს პანტელეიმონ (იგივე პანტელის) გიორგის ძე კუნლეროვს მიწის ნაჭრები, ზომით №№ 6, 7, 20, 21, 30, 31, 44, 45, 52, 53, 400 ოთხკ. საჟ., ყველა ნაჭრები 4000 ოთხ. საჟ., მეორე ნაჭერი № 68—400 ოთხკ. საჟ. და № 71—400 ოთხკ. საჟ., სულ 2 დეს., მდებარე ქ. ტფილისში 1 უბანში.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ. გადასაწერი 60 კ. და სიმტკიცის 320 მან.

მთავარი ამონაწერი 40 მან. ღირებულ საღერბო ქაღალდზე, მიცემულია. 339 1—1

1918 წ. აგვისტოს 22, ტფილისის ოლქის სასამართ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გრიგოლ, გიორგი და დავით ნიკოლოზის ძე თუმანიშვილებმა 2,190 მან. მიჰყიდეს მიხეილ ლევანის ძე ნადირაძეს და დავით სოლომონის ძე გორგიშვილის მიწის ნაჭერი, ზომით 145,73 კვ. ს. მდებარე ქ. გორში.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხ. 1 მ. 50 კ., გადას. 1 მან. 20 კაპ. და სიმტკიცის 87 მან. 60 კ.

მთავარი ამონაწერი 11 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 306 1—1

1919 წლის თებერვლის 7-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ოტტო ბადეს ძე შვარცმა 10000 მან. მიჰყიდა ამბარცუმ არუთინის ძე ტატევოსოვს მიწის ნაჭერი, ზომით 104 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში 10 უბ. გოგოლის ქ. ქალაქის № 277.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 80 კ. და სიმტკიცის 461 მან. 34 კ.

მთავარი ამონაწერი 60 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 339 1—1

დაიკარგა მეეტლეობის მოწმობა ს ნდრო ზაქარიას ძე გულიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1640 3—1

1919 წლის თებერვლის 3-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც კონსტანტინე იოსების ძე მერაბოვმა 17000 მან. მიჰყიდა მიხეილ სოლომონის ძე დავრიმიანცს მიწის ნაჭერი ხეხილის და ვენახის ბაღი ზომით 1466 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში მე-5 უბანში კრწანისში, ქალაქის № 1166.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ. და სიმტკიცის 680 მან.

მთავარი ამონაწერი 85 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 339 1—1

დაიკარგა ატესტატი, მიღებული ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებლიდან და მასწავლებლათ დანიშვნის მოწმობა კარცხელის 2 კლ. სასწავლებლის მასწავლებლის აქვსენტი ერისტოს ძე ლავგილავას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1647 3—1

დაკარგულია პასპორტი ექიმ იოანეს მინას ძე ისახანოვის სახელზე, მიცემული ოდესაში რუმინიის საკონსულოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1011 2—1

მაშადი გასან მეხტიევის და ალესკერ ახპერ ზადეს ქონებაზე ოპეკუნმა ნაფიცმა ვექილმა კანანოვმა დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1917 წ. რეესტრი № 2848, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1612. 3—1

დაიკარგა პასპორტი დომნიკია იაკოფს ასული პოდრეზოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—1

ქ. ტფილისის მე-4 უბნის სასამართლოს ბოქაული კრაულიანი ამით აცხადებს რომ 28 ივნისს 1920 წ. დილით 10 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა ერასტი მხეიძის მოძრავ ქონებისა, რომელშიაც შედის საოჯახო ნითები და დაფასებულია 6100 მათ. ვაჭრობა მე-21 უბნის 15 მომრიგებელ სასამართლოში მუხრანის ქ. № 4. 1607

დაიკარგა პასპორტი № 72 გალაქტიონ ივანეს რეხვიაშვილის სახელზე, მიღებული ჭორის საზოგადოების კომისრისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1635 3—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა ამით აცხადებს, რომ ლარომ დაკარგა № 484269 მოწმობა 12100 მან. ფასდადებულ საქონელზე საგზავნით „ქუთაისი—საჯევახო" გაუქმებულათ ჩაითვალოს. 664 3—1

ტფილისის ქ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 29 ივნ. დილით 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართველობის შენობა, თავისუფლების მოედანზე) საჯარო ვაჭრობა ორ თვალიანი დუქნის, რომელიც მდებარეობს თავისუფლების მოედანზე მე-3 უბანში, იჯარით გასაცემათ. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 1—2 ს. 633 3—1

ქალაქის გამგეობ.

საქართველოს რკინის გზის საამართველო

ამით აცხადებს, რომ 21 ამ თვიდან ტფილისის ქალაქის სადგური გადატანილია ბაზაზე № 12 ქალაქის თვითმართველობის შენობაში. 3—2 659